საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ტექნიკური ხარვეზის გასწორება, კერძოდ, დადგენილების დანართი მოიცავს მხოლოდ ტარიფების ნაწილს, რადგან გამორჩენილი იყო ესკიზების ნაწილი და ხდება მისი დამატება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქ.თბილისი, ბოჭორიშვილის ქ.37„ა“-ში (ს/კ. N01.10.13.023.001) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში, ზოგიერთი ფიზიკური პირის მიმართ არსებული ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება ბოჭორიშვილის ქ.N37ა-ში არსებული დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გაცემას, კერძოდ, დამატებით განისაზღვრა კიდევ თექვსმეტი დაზარალებული პირი, რომლებზეც, გაიცემა შესაბამისი კომპენსაცია. აქვე აღნიშნა, რომ კომპენსაციის მიღების მოთხოვნით, კომისიას მიმართა ოცდაოთხმა პირმა, თუმცა, ამ ეტაპზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, დაზუსტებულია ცხრამეტი დაზარალებული პირი, რომელთაგან სამზე უკვე გაცემულია კომპენსაცია და შესაბამისად, დღეს წარმოდგენილია თექვსმეტი დაზარალებულისთვის კომპენსაციის გაცემის საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N36ა, N30, N34, N32, N38, N36-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, აეროდრომის დასახლება, ქუჩა I, N17ა, N17, N15, N13, N7-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ზურაბ ჩაჩუას ქუჩა N21, N11დ, N23ა, N27ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.001.530; 01.19.36.001.123; 01.19.36.001.529; 01.19.36.001.217; 01.19.36.001.176; 01.19.36.001.013; 01.19.36.001.177; 01.19.36.001.152; 01.19.36.001.535; 01.19.36.001.171; 01.19.36.001.511; 01.19.36.001.510; 01.19.36.001.163; 01.19.36.001.037; 01.19.36.001.162; ფართობი - 5444 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ჯავახეთის ქ.N36-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე ოთხი და თერთმეტი სართულის დამატებას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს ოცდახუთსართულიანი ორი ბლოკისგან შემდგარი შენობა-ნაგებობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 2888000 ლარს. აქვე აღნიშნა, რომ კომისიის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მოხდება ხელახალი დაანგარიშება, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული პირი გადაიხდის თანხას, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე და ამასთანავე, ხელშემწყობი ღონისძიებების საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.235, ფართობი - 11674 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 1.5-დან 2.0-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს არსებულ მოცულობაზე ერთი მიწისზედა სართულის დამატებას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს ექვსსართულიანი შენობა-ნაგებობების განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 4071000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, რეზო გაბაშვილის ქუჩა, N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.005.154, ფართობი - 35517 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირის მიერ, გაბაშვილის ქ.N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 2.5-დან 3.2-მდე გადამეტება, რაც გულისხმობს რვა სართულის დამატებას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს ოცდასამსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განთავსებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ჯავახეთის ქუჩა N152; N158; N156; N154; N152ბ; N152ე; N66; N66დ; N148; N164; N152გ; N152დ; N146; N150; N66-ის მიმდებარედ, ქალაქი თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლება, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან (საკადასტრო კოდები: 01.19.36.013.059; 01.19.36.013.037; 01.19.36.013.027; 01.19.36.013.020; 01.19.36.013.060; 01.19.36.013.015; 01.19.36.013.013; 01.19.36.013.045; 01.19.36.013.046; 01.19.36.013.053; 01.19.36.013.014; 01.19.36.013.061; 01.19.36.013.011; 01.19.36.013.058; 01.19.36.013.012; 01.19.36.013.056; 01.19.36.013.003, საერთო ფართობი - 9474 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ

დაინტერესებული პირის მიერ, ჯავახეთის ქ.N152-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნილია განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 6.0-მდე გადამეტება, რაც გულისხმობს ათ-ათი სართულის დამატებას. აქვე აღნიშნა, რომ კომისიის გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, მოხდება ხელახალი დაანგარიშება, რომლის მიხედვითაც დაინტერესებული პირი გადაიხდის თანხას, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე და ამასთანავე, ხელშემწყობი ღონისძიებების საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვისა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, N73ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.06.019.139, ფართობი - 16445 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გორგასლის ქ.N73ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.4-დან 4.2-მდე გადამეტების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 5463000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.012.008, ფართობი - 3000 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გლდანის I მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.7-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ოცსართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 1065000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ალეკო გობრონიძის ქუჩა N21გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.17.003.267, ფართობი - 993 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, გობრონიძის ქ.N21გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3.5-დან 5.1-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს თერთმეტსართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 547000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, სამგორის ქუჩა N3; ქალაქი თბილისი, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N42; ქალაქი თბილისი, მოსკოვის გამზირის N9ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.273, ფართობი - 6115 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დაინტერესებული პირი, მოსკოვის გამზ.N9ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 5.1-მდე გადამეტების სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ჩვიდმეტსართულიანის ნაცვლად, ოცდაორსართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსებას, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 715000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: №12-032506564-03 თარიღი: 06.03.2025, №12-032507222-03 თარიღი: 13.03.2025, №12-032507234-03 თარიღი:

13.03.2025, №12-032507843-03 თარიღი: 19.03.2025, №12-032507870-03 თარიღი: 19.03.2025 და №12-032422615-03 თარიღი: 13.08.2024 (განსახილველად წარმოდგენილია „ა“ პოზიცია) რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032507222-03 წერილით წარმოდგენილი „გ“ და „დ“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და, საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N79; ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: 01.12.04.001.076, 01.12.04.001.252, 01.12.14.001.155, 01.12.04.001.030, 01.12.14.001.154, 01.12.04.001.082) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 6900 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით და მომატებული კ2 კოეფიციენტი 3.5-ით, განთავსდება 18 და 20 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში, (ნაკვეთი 04/011) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.18.004.007; N01.19.18.004.074) ავტო მომსახურების ცენტრის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოთხი შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 3 სართულით, ხოლო სიმაღლე - 15 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.01.397; N01.81.02.399.065; N01.81.02.399.041; N01.81.02.399.042; N01.81.01.109.017; N01.81.02.399.018; N81.02.93.071; N81.02.94.644;

N81.02.94.643; N81.02.18.843; N81.02.95.608; N81.02.95.381; N81.02.93.246; N81.02.00.628; N81.02.18.681; N01.81.02.165.006; N01.81.02.165.005; N81.02.17.259; N01.81.02.165.007; N81.02.97.279; N01.81.02.399.073; N81.02.21.610; N81.02.01.767; N01.81.02.399.074; N01.81.02.399.049; N01.81.02.399.046) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 99000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორმოცდაერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.894) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 25000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თოთხმეტი სასაწყობე შენობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა N1ა, N3, N3ა; დიდგორის ქუჩა N5, N1დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.81.02.271.001; N81.02.03.416; N81.02.03.314; N81.02.29.064; N81.02.29.363; N81.02.29.065; N81.02.29.090; N01.81.02.397.001; N81.02.29.088-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 34000 კვ.მ., სადაც დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდარვა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, ტატა (ტატიანა) თვალჭრელიძის ქუჩა N9; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ (ნაკვ.08/018), (ნაკვ.08/004) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.008.045; N01.14.16.008.018; N01.14.16.008.046) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 თებერვლის N64 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11020 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია შენობების განთავსების ცვლილება ისე, რომ უცვლელი რჩება ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, კ1 და კ2 კოეფიციენტები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.018.273; N01.13.01.018.205), საცხოვრებელი მიკროუბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2012 წლის 18 ივნისის N1564 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ითვალისწინებს სამსართულიანი შენობა-ნაგებობის ფუნქციის დაზუსტებას, კერძოდ, საცურაო აუზის, სპორტული მოედნის, საოფისე და კომერციულ ფუნქციას ემატება სასტუმროს ფუნქცია. აქვე აღნიშნა, რომ ქალაქმშენებლობითი პარამეტრები, კ1, კ2, კ3 კოეფიციენტები და სართულიანობა რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისში, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდ. მტკვარს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.241) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქ.თბილისის მერის 2012 წლის 19 აპრილის N944 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 364000 კვ.მ. კორექტირებით იზრდება პარკის არეალი და ჯამში 77000 კვ.მ. პარკს დეველოპერი გადასცემს მუნიციპალიტეტს. ამასთანავე, კორექტირება ეხება სექტორ II-ს, სადაც იცვლება

შენობების განთავსება და სართულიანობა, რომელიც იზრდება ისე, რომ არ სცდება კ1, კ2 და კ3 კოეფიციენტების დადგენილ პარამეტრებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.018.133; N01.18.06.018.132) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N467 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ. კორექტირება ეხება შენობა-ნაგებობის სართულიანობის დაზუსტებას, რომელიც განისაზღვრება მიწისზედა 5 სართულით და დამატებით ექსპლატირებადი ტერასის სართულით, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N234ბ-ში; ქალაქ თბილისში, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ., (ნაკვეთი 14/541); ქალაქი თბილისი, ხეივანი დავით აღმაშენებელი, მე-12 კმ-ზე (ნაკვეთი 14/517) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.881; N01.72.14.014.880) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N534 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ სექტორს, რომლის საერთო ფართია 8194 კვ.მ., სადაც განხორციელდა კ2 კოეფიციენტის გაზრდა 2.5-დან 3.0-მდე, რის შედეგადაც თორმეტ და თოთხმეტსართულიანის ნაცვლად, განთავსდება თოთხმეტ და თექვსმეტსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანის I მ/რ-სა და მუხიანის I მ/რ-ს შორის არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო, საოფისე, ავტოვაგზალი, საყოფაცხოვრებო და სხვა მომსახურების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის-თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 4 თებერვლის N01/90 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ერთ საკადასტრო ერთეულს, რომლის საერთო ფართია 2670 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გამოიყოფა დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმიდან, ხოლო მასში შემავალი სხვა მიწის ნაკვეთების მაჩვენებლები და ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.16.104.013, N72.16.20.571) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N394 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 75000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ფუნქციური ზონის კონფიგურაციის და ფართობების ცვლილება, ასევე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების რაოდენობის დაზუსტება, კერძოდ, ორმოცდაცხრის ნაცვლად, განთავსდება ორმოცდახუთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, „დელისი-3“-ის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (ნაკვეთი N1/124) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.15.001.289; N01.14.15.001.418) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 სექტემბრის N466 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 21000 კვ.მ. კორექტირება ეხება შენობა-ნაგებობების განთავსებას და გეგმარებას, რის შედეგადაც ათის ნაცვლად, განთავსდება შვიდი შენობა-ნაგებობა, იგივე ქალაქმშენებლობითი პარამეტრებით - საცხოვრებელი ზონა 5 და კ2 კოეფიციენტი 1.5.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ა; ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N22ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.03.040.095; N01.14.03.040.372) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N653 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 11556 კვ.მ. კორექტირება გულისხმობს მხოლოდ მიწისქვეშა შენობის განთავსების არეალის ცვლილებას, ხოლო სხვა ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, მ.ჯავახიშვილის ქუჩა N11; ქალაქი თბილისი, სასწრაფო სამედიცინო სადგურის მიმდებარედ (აღმართი ვერა, ყოფ. ელბაქიძე); ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N12; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩა N20-ის მოპირდაპირედ; ქალაქი თბილისი, საქანელას ქუჩის N23-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.15.04.003.048; N01.15.04.003.005; N01.15.04.003.044; N01.15.04.003.008; N01.15.04.003.013; N01.15.04.003.024) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N112 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 22946 კვ.მ. წარმოდგენილი კორექტირებით საპროექტო არეალს ემატება 2048 კვ.მ., რომელზეც გავრცელდება ძირითადი ზონირებით განსაზღვრული საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1. ამასთანავე, მცირდება შენობების რაოდენობა, კერძოდ, აღარ განხორციელდება ერთი, რვასართულიანი შენობის განთავსება და აღნიშნული მოცულობა გადანაწილდება მაღლივ კორპუსზე, რის შედეგადაც ოცდახუთსართულიანის ნაცვლად, განთავსდება ოცდათერთმეტსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

31. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართი, რომელზეც ხორციელდება კორექტირება, არის 1068 კვ.მ. ცვლილება ეხება ერთ მიწის ნაკვეთს, სადაც იზრდება შენობა-ნაგებობის განთავსების არეალი, ხოლო ქალაქმშენებლობითი პარამეტრები რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

32. „ქალაქ თბილისში, სამრეწველოს დასახლება N334, N337ა, N336, N336ა, N332ა; ქალაქ თბილისში, გიორგი მდივნის ქუჩა N16, N20, N22; ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N29თ; ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის დასაწყისში, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი, ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.005.028; N01.17.11.005.031; N01.17.11.005.025; N01.17.11.006.045; N01.17.11.005.035; N01.17.11.005.032; N01.17.11.005.005; N01.17.11.005.034; N01.17.11.005.033; N01.17.11.005.038; N01.17.11.005.037; N01.17.11.005.021) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N206 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო არეალის საერთო ფართია 26000 კვ.მ., სადაც განხორციელდა კ2 კოეფიციენტის მატება 3.5-დან 4.0-მდე. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია აღნიშნულის ასახვა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში, რის შედეგადაც ტერიტორიაზე ჩვიდმეტსართულიანის ნაცვლად, განთავსდება ოცსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

33. „ქალაქ თბილისში, სოფელი პატარა ლილო, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 98, N94, N96; N9, N102, N104, N106; ქალაქი თბილისი, დიდი ლილო, ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.08.32.294; N81.08.27.358; N81.08.32.315; N81.08.32.314; N81.08.27.366; N81.08.32.259; N81.08.27.953; N81.08.32.254; N81.08.27.007; N81.08.27.012;

N81.08.27.927) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 16000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია თერთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერული სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ განმეორებით კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩა N40 (ნაკვ. 21/023; ნაკვ. 21/024); ქალაქი თბილისი, კალოუბნის ქუჩა N31დ; ქალაქი თბილისი, III მასივი, X კვარტ. სამხედრო დას. კორპ. N1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: NN01.19.20.021.067; 01.19.20.021.068; 01.19.20.021.044; 01.19.20.021.035; 01.19.20.021.029; 01.19.20.021.039; 01.19.20.021.040; 01.19.20.021.041; 01.19.20.021.042; 01.19.20.021.043; 01.19.20.021.072; 01.19.20.021.070; 01.19.20.021.092; 01.19.20.021.084; 01.19.20.021.122; 01.19.20.021.085; 01.19.20.021.062; 01.19.20.021.027; 01.19.20.021.034; 01.19.20.021.020) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 28000 კვ.მ. და მდებარეობს ისეთ არეალში, სადაც დადგენილია განვითარების განსაკუთრებული პირობები, კერძოდ, ტერიტორია ვითარდება კ2 კოეფიციენტი 5.0-ით, საიდანაც საანგარიშო ფართის 18% გადაეცემა მუნიციპალიტეტს. აქვე აღნიშნა, რომ ტერიტორიაზე განთავსდება რვა მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 18 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ნაკვეთი N64; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალაში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.281; N72.16.15.560;

N72.16.15.570; N72.16.15.558) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია ჩვიდმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსება, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

36. „ქალაქ თბილისში, თეიმურაზ ბოჭორიშვილის ქუჩა, N4, N14, N16ა, N16, N6ა; ქალაქი თბილისი, ევგენი ხარაძის ქუჩა N18-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხიზანბარის ქუჩა; ქალაქი თბილისი, ქერჩისა და ხევძმარის ქუჩების შემაერთებელი გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.11.12.019.106; N01.11.12.019.202; N01.11.12.019.817; N01.11.12.019.201; N01.11.12.019.821; N01.11.12.019.823; N01.11.12.019.820; N01.11.12.019.153; N01.11.12.019.809; N01.11.12.019.126; N01.11.12.019.127; N01.11.12.019.039; N01.11.12.019.121; N01.11.12.019.123; N01.11.12.019.822; N01.11.12.019.819; N01.11.12.019.128) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 41000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 10 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

37. „ქალაქ თბილისში, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N 25ა, N25 -ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.11.17.004.222; N01.11.17.004.445) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 18000 კვ.მ., სადაც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 14 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

38. „ქალაქ თბილისში, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.36.016.776) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 10 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

39. „ქალაქ თბილისში, გიორგი აბაშვილის ქუჩა, N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.19.004.078) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., რომელიც ვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ის და სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით. სარეკრეაციო ზონის ფარგლებში სკვერი გადაეცემა მუნიციპალიტეტს, ხოლო საცხოვრებელი ზონის ფარგლებში განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 14 სართულით. აქვე აღნიშნა, რომ ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის რეკომენდაციით, განკარგულებაში მიეთითება და შემდგომ გეგმარებით დავალებაში აისახება, რომ შენობა-ნაგებობა N3-ის დაცილება სკვერიდან უნდა იყოს არანაკლებ 8 მეტრისა.

